პროლეტარიატის ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

35/78/2 7-25

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 3 (446)

1978 წლის მარტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 3 (446) მარტი 1978 წ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

განყოფილება პირველი

45. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.
46. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტის შესახებ.
47. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული ინჟინრის“ სპატიო წოდების დაწესების შესახებ.

განყოფილება მეორე

48. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
49. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
50. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამერიკაკასიის წითელრწმოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო მოსამსახურეთათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
51. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა სახელმწიფოში კონტროლის ორგანოების მე-60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაკთათვის სპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
52. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ს. დადუნაშვილისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
53. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ი. თარხანოვასათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
54. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ჯ. ი. კახიძისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
55. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ნ. ...

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 3
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაძისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

56. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. თ. ი. თედიაშვილისა და გ. ლ. ვოიტკოვსკაიასათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ბუხალტრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

57. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

58. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა სახელმწიფოში კონტროლის ორგანოების მე-60 წლისთავთან დაკავშირებით რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის, ჯგუფების, ორგანოების მუშაკების და აქტივისტების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

59. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ვ. პატარაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

60. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. გ. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

61. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ზ. ბ. მეგზევიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

62. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. დ. ციხისთავის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

63. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. პ. დადიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

64. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. კ. თოდრიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

65. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. ნ. მენთეშაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

66. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ჯ. ს. მეშველიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

67. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ა. საქსაგანსკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.
საინფორმაციო ცნობები.
ცვლილება ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

45 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის განსახილველად მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესია 1978 წლის 14 აპრილს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 22 მარტი.

№ 1030—IX

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

46 საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტის შესახებ

მოისმინა რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარის ამხ. ე. ა. შევარდნაძის მოხსენება, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის მიერ წარმოდგენილი საქართველოს საბჭოს სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტი ძირითადად მოწონებულ და გატანილ იქნეს საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

2. საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტი გამოქვეყნდეს 1978 წლის 24 მარტს ყველა რესპუბლიკურ და საოლქო გაზეთში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 22 მარტი.

№ 1029—IX

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

47 „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე კადრების წახალისების მიზნით დაწესდეს „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდება.

2. „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდება მიენიჭებათ ინჟინრებს, რომლებმაც სოფლის მეურნეობის დარგში სპეციალობის მიხედვით იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა და საინჟინრო მოღვაწეობით განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

3. საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შესახებ დებულების პირველ განყოფილებას მე-40 პუნქტად დამატოს სიტყვები „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული ინჟინერი“, ხოლო ამავე დებულების მეორე განყოფილებას — ამ ბრძანებულების მე-2 პუნქტი ასევე მე-40 პუნქტად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 22 მარტი.
№ 1038—IX

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

48 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის დროს მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის“:**

ალექსანდრე პავლეს ძე **გაროზაშვილი** — შინაგანი სამსახურის სერჟანტი.
ივანე ნიკოლოზის ძე **მამაგულაშვილი** — შინაგანი სამსახურის რიგითი.
გიორგი ალექსანდრეს ძე **ნანეიშვილი** — მილიციის პოდპოლკოვნიკი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 9 მარტი.
№ 1012—IX

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

49 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირეისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით „**წყალწაღებულთა გადარჩენისათვის**“:

ევტიხი სანდროს ძე **ლიპარტელიანი** — ლენტეხის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

ვლადიმერ იაკობის ძე **მიკიტენკო** — ფოთის სამაშველო სადგურის I კლასის მყვინთავი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 9 მარტი.

№ 1011—IX

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

50 ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო მოსამსახურეთათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიღწეული წარმატებებისა და საბჭოთა არმიის რიგებში ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახურისათვის, საბჭოთა შეიარაღებული ძალების მე-60 წლისთავთან დაკავშირებით, მიენიჭოს საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება:

ალექსანდრე გრიგოლის ძე **გამყაძეს** — სამედიცინო სამსახურის პოდპოლკოვნიკს.

კონსტანტინე ერასტის ძე **გულუას** — სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკს.

იაკობ ვასილის ძე **სამოსუდოვს** — სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 9 მარტი.

№ 1018—IX

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

51 საბჭოთა სახელმწიფოში კონტროლის ორგანოების მე-60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაკთათვის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და საბჭოთა სახელმწიფოში კონტროლის ორგანოების მე-60 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის:

ივანე პავლეს ძე **ოსეფაიშვილს** — სახალხო კონტროლის ჩოხატაურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეს.

გიორგი გიორგის ძე **რაქვიაშვილს** — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მეცნიერების, სახალხო განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა განყოფილების ინსპექტორს.

გივი თეოფილეს ძე **ხომერიკს** — სახალხო კონტროლის ფოთის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარეს.

საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის:

მამანტი გრიგოლის ძე **ქეცბაიას** — სახალხო კონტროლის გაგრის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 9 მარტი.
№ 1004—IX

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

52 ამხ. ა. ს. დადუნაშვილისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ნაყოფიერი საინჟინრო მოღვაწეობისა და ენერგეტიკისა და ხელსაწყოთმშენებლობის აქტუალურ პრობლემებზე კვლევითი და გამომგონებლობითი მუშაობისათვის სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროს ქუთაისის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს „პროექტპრიბორის“ უფროსს ამხ. არჩილ სერაპონის ძე **დადუნაშვილს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 9 მარტი.
№ 1024—IX

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

53 ამხ. ს. ი. თარხანოვასათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

პრესის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის „უჩიტელსკაია გაზეტას“ საკუთარ კორესპონდენტს საქართველოს სს რესპუბლიკაში ამხ. სოფიო იურის ასულ **თარხანოვას** მიენიჭოს **საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 9 მარტი.
№ 1023—IX

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

54 ამხ. ჯ. ი. კახიძისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების დარგში ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრის მთავარ დირიჟორს, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ჯანსუღ ივანეს ძე **კახიძეს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 9 მარტი.
№ 1021—IX

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

55 ამხ. ვ. ნ. მერკვილაძისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის დირექტორის მოადგილეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ვლადიმერ ნესტორის ძე **მერკვილაძეს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 9 მარტი.
№ 1020—IX

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

56 ამხ. ამხ. თ. ი. თედიაშვილისა და გ. ლ. ვოიტკოვსკაიასათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ბუხჰალტრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის მთავარი ბუხჰალტრის მოადგილეს ამხ. თამარ ივანეს ასულ **თედიაშვილს** და აფხაზეთის მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის ბუხჰალტერს ამხ. გალინა ლუდვიკის ასულ **ვოიტკოვსკაიას** მიენიჭოთ **საქართველოს სსრ დამსახურებული ბუხჰალტრის საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 21 მარტი.
№ 1027—IX

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

57 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მიღწეული წარმატებებისა და საბჭოთა არმიის რიგებში უმწიკვლო სამსახურისთვის, საბჭოთა შეიარაღებული ძალების მე-60 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

მიხეილ კირილეს ძე **ზაიცევი** — პოლკოვნიკი.
ივანე სიმონის ძე **კოლბასენკო** — პოლკოვნიკი.
ნიკოლოზ ზაქარიას ძე **კორნეიჩუკი** — პოდპოლკოვნიკი.
ვლადიმერ პეტრეს ძე **ლებედევი** — პოლკოვნიკი.
ედუარდ ნიკიტას ძე **სელიპანოვი** — პოლკოვნიკი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 9 მარტი.
№ 1019—IX

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

58 საბჭოთა სახელმწიფოში კონტროლის ორგანოების მე-60 წლისთავთან დაკავშირებით რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის, ჯგუფების, ორგანოების მუშაკების და აქტივისტების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოში კონტროლის ორგანოების მე-60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვნენ:

I. სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების შესრულებისადმი კონტროლის გასაწევად აქტიური მუშაობისთვის,

— **რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სახალხო კონტროლის კომიტეტი.**

— **წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფი.**

— **ჭიათურის კალინინის სახელობის მაღაროთსამმართველოს სახალხო კონტროლის ჯგუფი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. სახალხო კონტროლის ორგანოებში აქტიური მუშაობისათვის.

კონსტანტინე გიორგის ძე **ახვლედიანი** — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მეცნიერების, სახალხო განათლების, კულტურის და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა განყოფილების გამგე.

ბორის მიხეილის ძე **ბადია** — სახალხო კონტროლის ოჩამჩირის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

მარიამ ალექსანდრეს ასული **ბეზგოდკო** — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების ინსპექტორი.

როსტომ ხასანის ძე **დოლიძე** — სახალხო კონტროლის ბათუმის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე.

იური გრიგოლის ძე **კუპრაძე** — ქუთაისის სარკინიგზო კვანძის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.

მარლენ დავითის ძე **ნინოშვილი** — სახალხო კონტროლის გორის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

ალექსანდრე გიორგის ძე **პარასტაევი** — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე.

ალექსი სოლომონის ძე **სურგულაძე** — თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.

ანა ნიკოლოზის ასული **ქურციკიძე** — ზესტაფონის რაიონის შორაპნის ელექტროელემენტების ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.

იზოლდა მიხეილის ასული **ხელაძე** — მახარაძის რაიონის ნასაკირალის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.

ვარლამ სოსრამის ძე **ჯანჯღავა** — სახალხო კონტროლის თბილისის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 9 მარტი.

№ 1003—IX

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

59 ამხ. გ. ვ. პატარაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კინოხელოვნების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, დიდების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, კინორეჟისორი გურამ ვასი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ძე **პატარაია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 9 მარტი.

№ 1022—IX

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

60 ამხ. ა. გ. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კავშირგაბმულობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, კავშირგაბმულობის ნაგებობათა სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის თბილისის განყოფილების უფროსი ამხ. ალექსი გიორგის ძე **ლორთქიფანიძე** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 21 მარტი.
№ 1028—IX

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

61 ამხ. ზ. გ. მეგზევიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ზელიმხან ბესარიონის ძე **მეგზევიშვილი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 21 მარტი.
№ 1025—IX

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

62 ამხ. მ. დ. ციხისთავის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. მიხეილ დავითის ძე **ციხისთავი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 21 მარტი.
№ 1026—IX

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

63 ამხ. კ. პ. დადიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის ჰიდროენერგომშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის მთავარი ინჟინერი ამხ. კონსტანტინე პეტრეს ძე **დადიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 22 მარტი.
№ 1042—IX

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

64 ამხ. გ. კ. თოდრიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, კომკავშირულ და ადმინისტრაციულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მილიციის სპეციალური საშუალო სკოლის უფროსი ამხ. გიორგი კონსტანტინეს ძე **თოდრია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 22 მარტი.
№ 1043—IX

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

65 ამხ. თ. ნ. მენთეშაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. თენგიზ ნიკოლოზის ძე **მენთეშაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 23 მარტი.
№ 1046—IX

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

66 ამხ. ჯ. ს. მეშველიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, ლენტეხის რაიონული საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე, რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ჯოკა სანდროს ძე **მეშველიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 23 მარტი.
№ 1048—IX

ეროვნული ბიბლიოთეკა

67 ამხ. ვ. ა. საქსაგანსკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ამხ. ვიტალი არნოლდის ძე **საქსაგანსკი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 23 მარტი.
№ 1047—IX

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1978 წლის 9 მარტის სხდომაზე განიხილა საკითხი ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მდგომარეობის შესახებ ახალციხისა და ზუგდიდის რაიონებში.

აღინიშნა, რომ ახალციხისა და ზუგდიდის რაიონების სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები, მათი აღმასრულებელი კომიტეტები, მუდმივი კომისიები და დეპუტატები, ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, მეტ ყურადღებას უთმობენ ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას, რომლებიც სახელმწიფოს მართვაში მშრომელების ფართო მონაწილეობის, საბჭოებისა და მათი ორგანოების საქმიანობაზე ამომრჩეველთა ზემოქმედების ერთ-ერთი ქმედითი ფორმაა.

ამომრჩეველთა განაწესების შესრულების შედეგად როგორც ახალციხის, ისე ზუგდიდის რაიონში გაიხსნა საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, კეთილმოწყო დასახლებული პუნქტები და გზები, შეკეთდა და აიგო ხიდ-ბოგირები, დაიწყო ახალი საბავშვო ბაგა-ბაღების, კლუბ-კანტორების მშენებლობა, რამდენიმე სოფელში გაყვანილ იქნა სასმელი წყალი და სხვ.

ამავე დროს ახალციხისა და ზუგდიდის რაიონების ზოგიერთი სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭო, მუდმივი კომისია, აღმასრულებელი კომიტეტი, მისი განყოფილება და სამმართველო, აგრეთვე წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ამომრჩეველთა განაწესებს, ვერ უზრუნველყოფენ განაწესებზე მუშაობის მოწინავე გამოცდილების ფართოდ განზოგადებას. დღემდე შეუსრულებელია მთელი რიგი განაწესები. ზოგჯერ ცალკეული შემსრულებლები პა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუხისმგებლობით არ ეკიდებიან ამომრჩეველთა განაწესების დროულად განხილვა-გადაწყვეტის საქმეს.

ახალციხისა და ზუგდიდის რაიონების ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების უმრავლესობა არ მონაწილეობს ამომრჩეველთა განაწესების განხორციელებაში, არ ამოწმებს განაწესების შესრულების მიმდინარეობას.

საბჭოების სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე არ ისმენენ განაწესების უშუალო შემსრულებლების ინფორმაციებს, სუსტად იყენებენ კონტროლის ისეთ ეფექტიან ფორმას, როგორიცაა დეპუტატის მიერ შეკითხვის წესით საკითხის დაყენება.

ახალციხისა და ზუგდიდის რაიონების ადგილობრივი პრესა და რადიო არადამაკმაყოფილებლად აშუქებენ ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობის საკითხებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგილობრივი საბჭოების ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ განაწესები, წარმოადგენს რა სოციალისტური დემოკრატიის ერთ-ერთ რეალურ გამოვლინებას, მშრომელთა შემოქმედებითი აქტიურობის განვითარების ეფექტიან ფორმას, საბჭოების ორგანიზატორული მუშაობის ყურადღების ცენტრში უნდა იმყოფებოდეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა ახალციხისა და ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

განაწესების შესრულება მიიჩნიონ აღმასკომების საქმიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად. პერიოდულად შეისწავლონ და სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე განიხილონ განაწესების შესრულების მიმდინარეობის საკითხები. მათი განხორციელების მიზნით ფართოდ დანერგონ სესიებზე ინფორმაციების მოსმენის პრაქტიკა და გამოიყენონ დეპუტატების მიერ შეკითხვის წესით საკითხების დაყენების უფლება;

უზრუნველყონ, რომ დეპუტატები, აღმასკომები, განყოფილებები და სამმართველოები ანგარიშების ჩაბარებისას სისტემატურად აცნობდნენ მოსახლეობას განაწესების შესრულების მიმდინარეობას;

მიიღონ ქმედითი ზომები საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის განაწესების განხილვასა და შესრულებაში, აამაღლონ მათი ხელმძღვანელების პირადი პასუხისმგებლობა ამ საქმეში;

განაწესების შესრულებაში აქტიურად ჩაბაბან მუდმივი კომისიები და დეპუტატები, უზრუნველყონ მოსახლეობის ფართო შრომითი მონაწილეობა;

სოციალური და ეკონომიკური განვითარების ვეგმებისა და ბიუჯეტის შედგენის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ განაწესებს, მაქსიმალურად გამოიყენონ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გადაჭარბებით შესრულებისას მიღებული თანხები, აგრეთვე საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების საშუალებანი და სხვა ადგილობრივი მატერიალური რესურსები.

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალა-

№ 3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ ამომრჩეველთა განაწესების შესრულებისას განუხრელად იხელმძღვანელონ 1978 წლის 24 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე ამომრჩეველთა განაწესებზე ბელორუსიის სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის პრაქტიკის შესახებ საკითხის განხილვის დროს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში მოცემული დებულებებით, სსრ კავშირის კონსტიტუციით, უზრუნველყონ ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობის დონის შემდგომი ამაღლება, ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შემუშავებისა და ბიუჯეტის შედგენისას უფრო სრულად გაითვალისწინონ განაწესები, გამოძებნონ ადგილობრივი რესურსები და შესაძლებლობები მათი რეალიზაციისათვის, მიიღონ საჭირო ზომები განაწესების შესრულებისადმი კონტროლის გასაძლიერებლად.

* *
*

ამავე სხდომაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, მოისმინა საქართველოს სსრ პროკურორის ამხ. ლ. თალაკვაძის მოხსენება საყოველთაო-სამხედრო ვალდებულების შესახებ კანონის შესრულების მდგომარეობის თაობაზე რესპუბლიკაში. აღინიშნა, რომ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, სასწავლო დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა უმრავლეობა ჯეროვნად არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს დასახელებული კანონის განსახორციელებლად, ამიტომ ხშირად ზემოაღნიშნული კანონის მოთხოვნები არ სრულდება.

სახალხო დეპუტატთა სასოფლო, სადაბო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სამხედრო-საალრიცხვო მაგიდები მთელ რიგ შემთხვევებში ვერ უზრუნველყოფენ სამხედრო ვალდებულთა და წვევამდელთა დროულად და სრულად აღრიცხვას, რის გამოც მათი სიები არაზუსტია.

ასევე, წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები ჯეროვანი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან სამხედრო ვალდებულთა და წვევამდელთა აღრიცხვის საქმეს, დიდი დაგვიანებით ან სრულებით არ უგზავნიან წვევამდელთა სიებს სამხედრო კომისარიატებს.

ზოგიერთი ორგანიზაციისა და წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელი უხეშად არღვევს წვევამდელთა და სამხედრო ვალდებულთა მიწერისა და სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის დადგენილ წესებს და სამუშაოზე იღებს ისეთ პირებს, რომლებსაც სამხედრო ბილეთში არა აქვთ სამხედრო კომისარიატის სათანადო აღნიშვნები.

მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, სასწავლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები მოვალენი არიან კანონით დადგენილი შეღავათები გაავრცელონ თადარიგში დათხოვნილ ვადიანი და ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებსა და სამხედრო შეკრებაზე მყოფ პირებზე, კანონის ეს მოთხოვნა ხშირად არ სრულდება.

სამხედრო აღრიცხვის მოწესრიგებას ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოები, კანონის მოთხოვნათა მიუხედავად, სამხედრო კომისარიატებს არ აწვდიან ცნობებს სამხედრო ვალდებულთა ან წვევამდელთა გვარის, სახელის შეცვლის ან გარდაცვალების შესახებ.

საყოველთაო-სამხედრო ვალდებულების შესახებ კანონის შესრულებაში არსებული ნაკლოვანებები იმითაც აიხსნება, რომ შინაგან საქმეთა რაიონული და საქალაქო განყოფილებები არ იღებენ საჭირო ზომებს სპასპორტო რეჟიმის მოთხოვნათა შესასრულებლად და იმ პირთა დასაძებნად, რომლებიც ბოროტად არიდებენ თავს ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევას; საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები კი სამხედრო კომისარიატებს დადგენილ ვადაში არ აწვდიან ცნობებს სამხედრო ვალდებულთა პასუხისგებაში მიცემისა თუ მსჯავრდების შესახებ.

ნაკლოვანებებია რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატების მუშაობაშიც — ისინი ჯეროვან კონტროლს და პრაქტიკულ დახმარებას არ უწევენ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობებში არსებულ სასწავლო პუნქტებს დაწყებითი სამხედრო მომზადების ორგანიზაციის საქმეში.

ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ თავიანთი მუშაობის ამ მნიშვნელოვან უბანს — კონტროლს არ უწევენ კანონის შესრულების მიმდინარეობას, ნაკლებ მოითხოვენ დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებისაგან, რათა მათ სწორად წარმართონ სამხედრო აღრიცხვა; თავიანთ სხდომებზე არ იხილავენ სამხედრო აღრიცხვის და ახალგაზრდების დაწყებითი სამხედრო მომზადების მდგომარეობის საკითხებს, ვერ უზრუნველყოფენ წვევამდელთა ორგანიზებულ გამოცხადებას და საზეიმო გაცილებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განხილულ საკითხზე მიიღო შესაბამისი დადგენილება.

* *
*

22 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პ. გ. გილაშვილის თავმჯდომარეობით გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც განიხილა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტის საკითხი.

კ. მარქს ს. სახ. საქ. სსრ
საბჭოთა რ. სპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხსენება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტის შესახებ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარემ ე. ა. შევარდნაძემ.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ო. ლობჟანიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. კ. ხარაძე, საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი მ. ა. მეზვრიშვილი, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ჰ. ი. მარდანოვი, თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მქსოველი ც. დ. გაფრინდაშვილი, საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი ი. თ. თოდუა, ახალქალაქის რაიონის სოფელ ბურნაშეთის კლარა ცეტკინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ვ. ა. კოჩოიანი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჟ. კ. წარტავა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება ძირითადად მოიწონოს კომისიის მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტი და დაადგინა გამოიტანოს იგი რესპუბლიკაში საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

პრეზიდიუმმა მოისმინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის წევრის ვ. მ. სირაძის ინფორმაცია საქართველოს სსრ გერბის, ალმის და ჰიმნის შესახებ.

პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება 1978 წლის 14 აპრილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიის მოწვევის შესახებ, რომელიც განიხილავს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა მისი თავმჯდომარის დეპუტატ ნ ვასაძის მოხსენება რესპუბლიკის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის შესახებ. აღინიშნა, რომ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის სწორი ორგანიზაცია ჩვენი პარტიისა და მთავრობის მუდმივი ყურადღების ცენტრშია.

შრომითი მოწყობის კომისიები სისტემატურად სწავლობენ და იხილავენ წარმოება-დაწესებულებებში მომუშავე ახალგაზრდების შრომის პირობებს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ მიმართ შრომითი კანონმდებლობის დაცვის, ახალგაზრდებთან იდეურ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებს და სხვ.

მიუხედავად ამისა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებია.

რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში ახალგაზრდობის გარკვეული რაოდენობა არ არის ჩაბმული შრომით საქმიანობაში, რიგ წარმოებაორგანიზაციებში აღინიშნება მისი დენადობა, სათანადო ყურადღება არ ექცევა ახალგაზრდობისათვის სამუშაო ადგილის წინასწარ დაჯავშნას, რის გამო ბევრი სამრეწველო და სამშენებლო ორგანიზაცია ვერ ასრულებს ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის გეგმას. საშუალო სკოლების ერთ ნაწილში მოსწავლეთა პროფორიენტაციული მუშაობა სათანადო სიმაღლეზე არ დგას. ბევრგან კვლავ სუსტია სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მათ არ გააჩნიათ სპეციალური საცნობარო ლიტერატურა პროფესიების შესახებ ქართულ ენაზე. ნაკლები რაოდენობით არიან შრომის კვალიფიციური მასწავლებლები.

განათლების ადგილობრივი ორგანოები ხშირად სჯერდებიან კურსდამთავრებულთა სამუშაოზე მოწყობას და სისტემატურ კონტროლს არ აწესებენ მათ შემდგომ საქმიანობაზე. ჯერ კიდევ მჭიდრო კონტაქტი არ არის განათლების ადგილობრივ ორგანოებსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტის რწმუნებულთა შორის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის საქმის გაუმჯობესებისათვის.

* *
*

სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის სხდომამ მოისმინა კომისიის წევრის დეპუტატ ვ. ბატიაშვილის მოხსენება რესპუბლიკის საღამოს და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელმა, მუდმივი კომისიის წევრებმა და სიტყვაში გამოსულმა სხვა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის საღამოს და დაუსწრებელმა სკოლებმა ერთგვარად გაუმჯობესეს მუშაობა.

ყველა მომუშავე ახალგაზრდისათვის საშუალო განათლების მიცემის მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა 1976—1977 წლებში რესპუბლიკის 34 რაიონში მოახდინეს საღამოს სკოლების რეორგანიზაცია, რომელთა ბაზაზე შეიქმნა დაუსწრებელი, დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლები, სასწავლო — საკონსულტაციო პუნქტების და ჯგუფების ფართო ქსელი. ხდება პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა და განზოგადება, სწავლა-აღზრდის მეთოდთა სრულყოფა და სხვ.

ერთგვარი წარმატებების მიუხედავად ამ საქმეში ჯერ კიდევ არსებითი

№ 5
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაკლოვანებებია, მაგალითად, ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში არ სრულდება საღამოს და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა, 1976—1977 სასწავლო წელს არასაპატიო მიზეზით სწავლას ჩამოცილდა 3831 მოსწავლე, ანუ მოსწავლეთა მთელი კონტინგენტის 7 პროცენტი. ჯერ კიდევ დიდია საღამოს სკოლების მოსწავლეთა მიერ არასაპატიო მიზეზით გაცდენილი გაკვეთილების რიცხვი და მეორეწლიან მოსწავლეთა რაოდენობა, სათანადო ორგანოების დიდი ნაწილი არ იჩენს საჭირო მზრუნველობას მუშაობაში ჩაბმული ახალგაზრდებისადმი, არ აკონტროლებს გაკვეთილებზე მათს დასწრებას და აკადემიურ მოსწრებას. ჯერ კიდევ სუსტია საღამოს და დაუსწრებელი სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა, ბევრ ქალაქსა და რაიონში განათლების განყოფილებებს და საღამოს სკოლებს არა აქვთ დამყარებული საჭირო კონტაქტი წარმოება-დაწესებულებებთან, კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან

* *
*

მრეწველობის მუდმივი კომისიის სხდომაზე მოსმენილ იქნა კომისიის მდივნის დეპუტატ ი. გოგიტიძის მოხსენება გამომგონებლობის, რაციონალიზატორული და საპატენტო-სალიცენზიო მუშაობის მდგომარეობის შესახებ რესპუბლიკაში. მომხსენებელმა და სიტყვაში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში ჩატარებულ ღონისძიებათა შედეგად ერთგვარად გაძლიერდა მუშაობა გამომგონებლობის, რაციონალიზაციისა და საპატენტო-სალიცენზიო დარგში.

მეცხრე ხუთწლედში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობამ 111,832 რაციონალიზატორული წინადადების და 1.218 გამოგონების დანერგვის შედეგად 192,7 მილიონი მანეთის ეკონომია მიიღო. მეათე ხუთწლედის ორი წლის განმავლობაში ამავე გზით მიღებული ეკონომიის თანხამ მეცხრე ხუთწლედის უკანასკნელი ორი წლის დონეს 27 მილიონი მანეთით გადააჭარბა და 117 მილიონ მანეთს მიაღწია. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკა ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება საკავშირო და უმეტეს მოკავშირე რესპუბლიკებში მიღწეულ დონეს.

მთელ რიგ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებებში სათანადო ყურადღება არ ექცევა გამომგონებლობისა და საპატენტო-სალიცენზიო საკითხებს. არასრულად ითვისებენ თანხებს, რომლებიც გათვალისწინებულია გამომგონებლობისა და რაციონალიზაციისათვის. საწარმოთა და დაწესებულებების მნიშვნელოვან ნაწილს არ გააჩნია საჭირო ნორმატიული დოკუმენტაცია გამომგონებლობასა და რაციონალიზაციაში. რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ეფექტიან გამოგონებათა შერჩევას, ჯერ კიდევ დაბალია გამოგონებათა წარმოებაში გამოყენების მაჩვენებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის რიგ სამინისტროთა და უწყებათა და მათი დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელობა სათანადოდ არ ზრუნავენ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა შემოქმედებითი აქტივობის მობილიზაციისათვის, არ მუშავდება თემატური გეგმები გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში.

მუდმივმა კომისიებმა განხილულ საკითხებზე მიიღეს სათანადო დადგენილებები.

კომისიების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 9 მარტის ბრძანებულებით **„სახელოვანი დედის“** ორდენებითა და „დედობის მედლით“ დაჯილდოდა 158 მრავალშვილიანი დედა:

ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონიდან	1
ქ. ვიათურიდან	7
ქ. წყალტუბოდან	4
აბაშის რაიონიდან	6
ადიგენის „	3
ასპინძის „	4
ახმეტის „	6
ბოგდანოვკის „	11
ბოლნისის „	18
დმანისის „	9
დუშეთის „	3
ზესტაფონის „	2
ზუგდიდის „	5
ლენტეხის „	3
მარნეულის „	15
მცხეთის „	2
ორჯონიკიძის „	3
სიგნაღის „	34
წალენჯიხის „	11
წითელწყაროს „	3
წულუკიძის „	2
ჩოხატაურის „	2
სამხრეთ ოსეთის ა/ოლქიდან	4

№ 3
ბიბლიოთეკა

* *
*

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 22 მარტის ბრძანებულებით **„სახელოვანი დედის“** ორდენებითა და **„დედობის მედლით“** დაჯილდოვდა 90 მრავალშვილიანი დედა:

ქ. თბილისის ლენინის რაიონიდან	7
ქ. ქუთაისიდან	4
ადიგენის რაიონიდან	3
თეთრი წყაროს „	11
თელავის „	1
თერჯოლის „	4
ლაგოდეხის „	13
მახარაძის „	15
მესტიის „	13
ქარელის „	11
ხაშურის „	8

* *
*

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 9 მარტის ბრძანებულებით **„შრომის ვეტერანის“** მედლით დაჯილდოვდა 1394 კაცი:

ქ. თბილისის ლენინის რაიონიდან	— 139
„ კალინინის „	— 96
„ ორჯონიკიძის „	— 391
„ 26 კომისრის „	— 96
„ პირველი მაისის „	— 149
ქ. ზუგდიდიდან	— 12
ქ. ტყიბულიდან	— 42
ქ. ქუთაისიდან	— 89
ქ. ჭიათურიდან	— 67
აბაშის რაიონიდან	— 32
ბორჯომის „	— 11
გეგეჭკორის „	— 5
დუშეთის „	— 14
ვანის „	— 17
ზესტაფონის „	— 12
თელავის „	— 13
თერჯოლის „	— 6

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენტეხის	„	3
მარნეულის	„	62
ო ნ ი ს	„	50
სამტრედიის	„	37
ჩხოროწყუს	„	35
წალენჯიხის	„	16

* *
*

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 22 მარტის ბრძანებულებით **„შრომის ვეტერანის“** მედლით დაჯილდოვდა 1053 კაცი:

ქ. თბილისის კალინინის რაიონიდან	79
ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონიდან	189
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროდან	1
ქ. ტყიბულიდან	143
ქ. ფოთიდან	47
ქ. ქუთაისიდან	118
ქ. წყალტუბოდან	70
ახალქალაქის რაიონიდან	24
ბოლნისის „	13
თეთრი წყაროს „	87
თელავის „	34
თერჯოლის „	12
ლაგოდეხის „	38
მაიაკოვსკის „	20
მახარაძის „	42
მცხეთის „	25
საგარეჯოს „	86
ქარელის „	4
ჩხოროწყუს „	21

ცვლილება ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 9 მარტის ბრძანებულებით აღდგენილ იქნა ჩხოროწყუს რაიონის ადრე გაუქმებული სოფელი ლექობალე და ადმინისტრაციულად დაექვემდებარა ჭოღის სასოფლო საბჭოს.